

მელი და წერო

მელმან წერო აწვია. ოსპი შეუგბო და სპილენძის თეფშზე დაუსხა. ორთაე ჭამა დაუწყეს. მელი ენით სთქლაფევდა და წერო რას შესჭამდა თეფშზე— თითო-თითოს თუ აიღებდა.

მეორეს დღეს წერომ აწვია მელი და მუხუდო შეუგბო და პირვიწროს ქოთანში ჩაუსხა. ორთავ ჭამა დაუწყეს. წერომ ნისკარტი ჩაყო და ჭამა დაუწყო და მელმან ტუჩი ვერ ჩასტია. რასა სჭამდა— იწყინა მელმან, გაუმტერდა და შეამყრალა. წეროს ეწყინა და თვალთა შეასკინტლა.

ანუ მათი სიტკბო და წვეულება რა იყო, ანუ რისხვა და მტერობა—

- აგრევე თქვენი მეგობრობა და სიყვარული რა იქმნება. ანუ სიქიშპე— ზოგთა კაცთა, რა პატრონი სიკეთეს მიაპყრობს, თვისის თავისა ეგონება და არა პატრონისაგან. შენ საჭურისი ხარ, მეფის ერთგულობა და დღე და ღამის სამსახურისა ცდა გმართებს. იგი ჭაბუკია, მვ მახლავს, მეფის მონობა და ჩემი წერთა ჰმართებს. ან შენ მასთან რა საბრძოლავი გაქვს და ან მას შენთან რა საშუღლარი—

თქვა რუქამ არაკი: ყადი და ეშმაკი

ორნი კაცნი გზასა მივიდოდნენ. ერთმან ქვას ფეხი წამოჰკრა და ეშმაკს აგინა. მეორემ უთხრა: რა გაწყინა, მან ხომ არ გირჩია, ყოველნი ეგრე უბრალოდ აგინებთო—

რა იგი ამხანაგი გაეყარა, მივიდა ეშმაკი და მოსარჩლე კაცს უთხრა: რადგან შენ მე მომეხმარე, მეც შემოგზღავ. ერთს გვარიანს ჯორად ვიქცევი, შემჯექ, ჰალაბის ქალაქს ჩადი: მუნებური ყადი ქაბას მივა, ჯორს ეძვბს სასყიდელსა, ვირემ ასი ფლური არ მოგცეს, ნუ მიმყიდი და შენ შენდა წადიო!

იქცა ჯორად. შეჯდა კაცი იგი და ყადის კარი ჩაიარა. დია მსუქანი, ჭრელი და თოხარიკი ჯორი იყო. ყადის მსახურთ ჰკითხეს. მან გასასყიდლობა უთხრა. შევიდნენ მაშინვე, ყადს მოახსენეს მისცეს ასი ფლური და ჯორი გამოართვეს. ყადმან დიდად მოიწონა. მვტის სიყვარულით წინ დაიბა.

რა ორი-სამი დღე გამოვიდა, მოსამსახურენი საქმეზედ გავიდნენ. ყადი შეფრფინვით შესცქეროდა, ჯორმან ავშარა

წაიყარა და აეშვა. მუნ ხელსაზანი კუმკუმა იდგა, მას შიგ ჩაძვრა.
დაიწყო ყადმან ძახილი. მსახურნი მოვიდენ, მათ ყოველი უამბო. ეგრე თქვეს: დაფეთებია რამე და შეშლილია, თვარა რას როტავს, კუმკუმაში ჯორი ვით ჩავა, ან როგორ დაეტევაო!
დაიჭირვს ყალი, ბევრი ტანჯეს და დააბეს. ფიცავს ყალი: ხელი არა ვარ, მართალს ვიტყვიო!
ვინ მოუსმენდა?=
ორმოც დღეს არ დააძინეს, ხან აროკებდენ და ხან რჯიდენ. რა ღონე მოსწყდა, თქვა:
- ახლა მოვრჩი, აღარა მჭირს რა!
გაუშვეს. მარტო ჯდა. კუმკუმის პირიდან თავი ამოჰყო ჯორმან და ყურები გაიბერტყა. დაიძახა ყადმან: აქავ არის, მიშველეთო!
მოვიდენ იგი კაცნი, კიდევ შეიპყრეს და უარესი ჭირი დამართეს. კიდევ, საქმე რომ გაუჭირეს, თქვა: მოვრჩი, აღარა მჭირს რაო!
კიდევ გაუშვეს და ყალი ჭკვიანად ჯდა. კიდევ კუმკუმის პირიდან თავი ამოყო ჯორმან და ყურების ბერტყა შექმნა. ყადმან უთხრა: დიახ გხედავ, მანდა ხარ, მაგრა შიშით ვერ ვიტყვი, ტანჯვისა მეშინიანო.
- იგი ყალი მართლა ამბობდა, ხედვიდა და არავინ უჯერებდა. მე მასავით ვხედავ, მართალს ვამბობ, არავინ მისმენთ და რა ვქმნა?=
თქვა ჯუმბერ არაკი: